



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

## მაკარიოსი იბნ ალ-გაიმ ალ-ჰალაბი ალ-ანტაქი

მაკარიოსი იბნ ალ-გაიმ ალ-ჰალაბი ალ-ანტაქი (გ. 12. I. 1672), ანტიოქიის პატრიარქი 1647-იდან. ფინანსური დახმარების მიზნით ორჯერ იმოგზაურა რუსეთში (1654–56; 1664–66). 1669 საქართველოშიც იყო. დას. საქართველოში ის აქტიურად ერეოდა ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში; გამოდიოდა ტყვეებით ვაჭრობის წინააღმდეგ. მ-ის მიერ არაბ. ენაზე დანერგილ თხზულებაში შესულია ცნობები დას. საქართველოს შესახებ.

ლიტ.: ა ს ა თ ი ა ნ ი ნ., მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის, თბ., 1973.

**გ. ჯაფარიძე**

---